წელიწადი 1-ლი   გაზ. ფასი 3 შაური.   ტელეფონი № 76.   სამშაბათი დეკემბრის 5—(18) 1917

# ჩვენი ქვეყანა

ბაზეთის ფასი:
თვიურათ . . . . 3 მან.
ორი თვით . . . . 1 თუმანი.
ცალკე ნუმერი . . . . 3 შაური
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ლინი . . . 2 აბაზი.
უკანასკნელ გვერდზე . . . . . .
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი მეტი
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა
უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 1 საათ.
8 მ. 1 საათის შემდეგ 10 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 192   ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი   № 192

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებული მეუღლე როტმისტრი ანდრია გიორგის ძე კუკნაძე, მამა დავით ნიკოლოზის ძე ლორია დედა ფოტინე ვარდენის ასული ლორიასი შვილებითურთ, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, დეკემბრის 6-ს, დილის 10 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე

ლიუბა დავითის ასულის კუკნაძის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქმნება ნახევარი წლის პანაშვიდი.

დამხმარე საზოგადოების „ერთობის" გამგეობა მოსამსახურეთა სახაზინო და სახელმწიფო დაწესებულებათა ქალ. ქუთაისში და ქუთაისის გუბერნიაში ამით აუწყებს პატივცემულ წევრებს, რომ მე-28 მუხლის ძალით, 10 დეკემბრს დღის 11 საათზე სახაზინო გიმნაზიაში დანიშნულია

სასწრაფო კრება

გამგეობის ანგარიშის განსახილველათ 19 მაისიდან 1 ნოემბრამდი 1917 წ.

გამგეობა.

ექიმი კ. ს. ადამია 10 დეკემბრიდან იღებს სავებით, შინაგან და ბავშთა სნეულებით ავადმყოფთ. დილის 11 საათ. 1 საათ. საღამ. 6 საათ. 8 საათ. ბალის ქუჩა სახლი სანიკიძის №12.

## საქართველოს ეროვნული საბჭოს უფლების საზღვარი.

სახელმწიფოებრივი სამართლის მეცნიერება ამბობს: ახლანდელ დემოკრატიულ სახელმწიფოში საკანონმდებლო დაწესებულების დეპუტატი სრულიად არ არის მოვალე გადაუვალი სისწორით ასრულებდეს ამრჩევლთა მინდობილებასა და დავალებას. მას საკანონმდებლო დამოუკიდებლობა, ან ავტონომია, აქვს და მაშასადამე, შეუძლია იმოქმედოს ისე, როგორც საუმჯობესოდ მიაჩნია, ე. ი. თავისი საკუთარი აზრისა და ფიქრის მიხედვით:

ეს—სახელმწიფოებრივი მეცნიერების ერთ-ერთი უეჭველი, უცილობელი პრინციპია.

აქედან იშობება შემდეგი დასკვნა: საქართველოს ეროვნულ საბჭოს შეუძლია გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომლის გადადგმაც საქართველოს ეროვნულ ყრილობას არ დაუვალებია, და ნაბიჯს სრული იურიდიული საფუძველი ექნება.

მაშ, საქართველოს ეროვნული საბჭო მოვალეა თავისი სახელმწიფოებრივი ფუნქციები თანდათან უფრო და უფრო განამრავლოს და განაძლიეროს, ე. ი. საქართველო—ნამდვილ სახელმწიფოდ გარდაქმნას.

ცხადია, რომ ეროვნულ საბჭოს დიდი სიფრთხილე მართებს საქართველო ავანტიურაში არ გაებას, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ხშირად გადაჭარბებული სიფრთხილეც დამღუპველია.

მაშასადამე, ეროვნული საბჭოსთვის უპირველესად თავდაცვის თადარიგისთვის ზრუნვაა სავალდებულო.

თავდაცვა და არა შეტევა, მეგობრობა მეზობლებთანა და რუსებთან და იმავე დროს თავდაცვის ორგანოთა მოწყობა, აი რა უნდა ედვას საფუძვლად დღეს ჩვენს ეროვნულ-პოლიტიკურ ტაქტიკას.

მეორე მხრით, მიუტევებელ ცოდვას დაიდებდა თავზე ეროვნული საბჭო, თუ საქართველოს ვერ მოუპოვებდა წარმომადგენლობის უფლებას საერთაშორისო საზავო კონფერენციაზე.

ამისთვის ჩვენ ბევრი საბუთი გვაქვს: 1) საერთაშორისო ხელშეკრულობანი, რომელნიც ძველმა რუსეთმა დაარღვია, 2) ის ზღვა სისხლი, რომელიც საქართველოს გმირმა შვილებმა ამ საერთაშორისო ბრძოლის ველზე დაღვარეს რუსთა და მის მოკავშირეთათვის, და 3) ახალი საერთაშორისო უფლება, რომელიც ამ მსოფლიო ბრძოლის დროს ყველა სახელმწიფომ აღიარა, ეროვნული თვითგანორკვევის უფლება.

შევჩერდეთ ამ უკანასკნელზე, რას შეიცავს იგი? აი რას: თვითეულ ერს, დიდია იგი თუ პატარა, ძლევამოსილია თუ სუსტი, უფლება აქვს, 1) როგორც უნდა, ისე მოაწყოს თავისი პოლიტიკური ცხოვრება და 2) თვითეული ერის პოლიტიკური დამოუკიდებლობა აღსიარებული უნდა იქნეს ყველა სახელმწიფოს მიერ.

და როგორ შეუძლიათ სახელმწიფოებს თვითეული ერის საერთაშორისო უფლების მოწონება ან უარყოფა, თუ იგი უფლება საერთაშორისო კონგრესმა არ მოისმინა თვითეულისავე ერის წარმომადგენლის პირით?!

დიაღ! ახალმა დრომ ახალი პირობები შექმნა, ახალი უფლებანი დაბადა და ჩვენ მოვალე ვართ კეთილად მოვიხმაროთ ეს პირობები და უფლებანი.

ვასილ წერეთელი.

## ზავის გარშემო.

### პაპის ახალი მოწოდება.

„ბერ. ტიდ." ირწმუნება, რომ პაპს განუზრახავს ახალი მოწოდებით მიჰმართოს მეომარ სახელმწიფოებს. პაპი მიუთითებს იმ პირობებზე, რომლითაც დაიწყობა საზავო მოლაპარაკებანი გერმანეთის, ინგლისის და საფრანგეთის შორის. რუსეთის შესახებ არ იქნება ლაპარაკი, რადგანაც გერმანეთი მასთან ცალკე მოლაპარაკებას აპირებს

### გერმანელების გაფრთხილება

გერმანელები გაზეთ „რუსსკი ვესტნიკ"-ში აფრთხილებენ რუს მფრინავებს, რომლებიც მათ ჯარისკაცებს პროკლამაციებს უყრიან და ღალატისათვის აქეზებენ, თუ ტყვედ ჩავიცვივდით დაგხვრეტავთო.

### ტროცკის ნოტა მოკავშირეთადმი

დიდ ბრიტანეთის, ამერიკის. იტალიის ჩინეთის, იაპონიის, რუმინეთის, ბელგეთის და სერბეთის ელჩებს ტროცკიმ შემდეგის წერილით მიმართა:

„გერმანეთის, ავსტრო-უნგრეთის, ოსმალეთის და ბულგარეთის ერთ მხრივ და მეორის—რუსეთის დელეგატების შორის დაწყებული მოლაპარაკება ჩვენის დელეგაციის ინიციატივით შესწყდა ერთის კვირით, რათა ეცნობოს მოკავშირეთა ერებს და მთავრობათ თვით ფაქტი მოლაპარაკებისა და და მათი მიმართულება. რუსეთის მხრივ მოთხოვნილია: 1) გამოცხადდეს, რომ დროებით ზავს მარტის მიზნად აქვს ზავი დემოკრატიულ ნიადაგზე, როგორც იგი გამოხატულია სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ყრილობის მანიფესტში. 2) დროებითი ზავი ეხებოდეს ორივ მხარეს ერთ ფრონტიდან მეორეზე ჯარების გადაყვან-გადმოყვანის აკრძალვას. 3) უნდა გაწმენდილი იქმნეს კუნძული მოონზუნდი. ომის მიზნების შესახებ მოლაპარაკებაზე მტრის დელეგატებმა უარი განაცხადეს: ჩვენ ეს დავალებული არა გვაქვსო. ასევე უარი განაცხადეს საყოველთაო დროებით ზავზე ლაპარაკის შესახებ.

თავიანთ მხრივ მოწინააღმდეგე მხრის დელეგატებმა მოითხოვეს: დროებით ზავის ჩამოგდება მთელ ფრონტზე ბალტიის ზღვიდან მოყოლებული შავ ზღვამდე ეს დროებითი ზავი გაგრძელდეს 28 დღე. ამას გარდა მათმა დელეგატებმა იკისრეს გადასცენ თავთავიანთ მთავრობას რუსების დელეგაციის წინადადება, რომლის თანახმად უნდა ვთხოვოთ ყველა მოკავშირეთ, რომ მათ მოლაპარაკებში მონაწილეობა მიიღონ.

ჩვენი დელეგაცია არ დასთანხმდა ხელი მოეწერა მოლაპარაკების ასეთ სტატიაზე, ამიტომ ფორმალური დროებითი ზავი ერთის კვირით არის შეკრული.

ასე რომ პირველ ჩვენ საზავო დეკრეტსა და მეორე საზავო მოლაპარაკების დაწყებამდი ესე იგი გიორგობისთვის 29 დე (ძველი სტილით) თვეზე მეტი დროა და ამ ხანში შესაძლო იყო თქვენი შეხედულების გამომუშავება:, მზად ხართ საერთო ზავის ჩამოსაგდებად მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად თუ არა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მთელ კაცობრიობის წინაშე განაცხადეთ ნათლად, გარკვეულად რა მიზნისათვის უნდა ღვარონ ევროპის ერებმა სისხლი ომის მეოთხე წელსაც.

## მსოფლიო ომი.

პ. დ. ს.

### დეპეშები.

#### იაპონია ომისთვის ემზადება

ხარბინის სოციალისტ-რევოლუციონერთა და სოციალ-დემოკრატთა სხდომაზე ერთ სოციალ-დემოკრატმ განუცხადებია:

— დღევანდელი სხდომა განსაკუთრებით პირობებში ხდება. ის რაც მოსალოდნელი იყო, უკვე ფაქტად იქცა. ჩინური ჯარის ყოფნა ქალაქში ოფიციალურია. არიან იაპონიის ჯაშუშიც. ქალაქში 50 იაპონელი ოფიცერი დასეირნობს, გულუბრყვილობა იქნება, თუ ვიფიქრებდით, შესანიშნავ ალაგების დათვალიერებლად არიან მოსულები.

ხმებია, იაპონელთა საწყობებში იარაღის, ყუმბარებისა და სხვადასხვა მასალების მთელი საწყობებია.

#### ინგლისის ბანაკის ცნობა.

**ლონდონი.** გიორგობისთვის 19. ინგლისელებმა კვლავ დაიჭირეს გონლენი და სენ-კანტენის მთა წაიყვანეს ტყვეები, წაიღეს ტყვიისმფრქვევლები და სხ. იარაღი. გრეეკურის სამხრეთით, მტერმა ინგლისის ხაზებში გზა გაიკაფა, ფართე ფრონტი დაიჭირა და ტყვეებიც იგდო ხელთ. მონსიარის რაიონში მტერი ათთარივით იწევდა წინ. ცხრაჯერ მოიტანა მედგარი იერიში სოფელში და მის გარშემო. ბოლოს შეცვივდნენ კიდეც სოფელ ლერიუვერტში, მაგრამ ინგლისელთა კონტრიერიშით კვლავ უკუიქცნენ.

**ლონდონი.** გიორგობისთვის 21. სამ რეთ რაიონში გუშინ ცხარე ბრძოლა იყო. გონელლე და მარკუანის რაიონში მტერმა დაიხია: ინგლისელებმა ყველგან შეინარჩუნეს მოწინავე ხაზები, ხოლო ლა კაკრის და მარკუენის აღმოსავლეთით ოდნავ დაიხიეს იმპრის ახლოს და პოლიგონის სამხრეთ-დასავლეთით ინგლისელებმა წაიწიეს და ტყვეებიც წამოიყვანეს.

#### ინგლისელების დავლა

**ლონდონი.** გიორგ. 20. დასავლეთის ფრონტზე გიორგობისთვის განმავლობაში ინგლისელებს ხელთ უგდიათ 11,551 ტყვე და 130 ზარბაზანი. პალესტინის ფრონტზე 10,544 ტყვე და 80 ზარბაზანი, აღმოსავლეთ აფრიკაში 4,403 ტყვე. სულ 26.805 ტყვე და 231 ზარბაზანი.

#### საფრანგეთის ლაშქრის გადასხმა.

საფრანგეთის ლაშქარი საოცარი სისწრაფით გადასხეს იტალიის ფრონტზე.

ავსტრიელ გერმანელთა შემოტევა დაიწყო ოქტომბრის 10-ს და ოქტომბრის 15-ში პირველი ეშელონები უკვე იტალიის გზაზე იყვნენ. ინგლისელებმა ერთი კვირით დაიგვიანეს.

#### ომი ამერიკასა და ავსტრია-უნგრეთს შორის.

**ვაშინგტონი.** გიორგ. 23. დღეს 12 საათზე, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ავსტრია უნგრეთს ომი გამოუცხადა.

## ბოლშევიკების დიქტატურა.

სახალხო კომისრების საბჭომ შეიმუშავა პროექტი, რომლის მიხედვითაც კადეტებსა და ბურჟუაზიის სხვა წარმომადგენლებს დამფუძნებელ კრებაზე არ დაუშვებენ.

—

დამფუძნებელ კრების სადღესასწაულო ხასიათი მისც თავმჯდომარის კანდიდატად ჩერნოვის დასახელებამ. მოხდა კრების კერძო თათბირი. დაესწრო 40 დეპუტატი. თავმჯდომარეობდა ჩერნოვი. სიტყვები წარმოსთქვეს შრეიდერმა, ჩერნოვმა, რუდნევმა და როდიჩევმა.

—

სახალხო კომისრების დეკრეტით შეპყრობილ იქნებიან კადეტების ლიდერები, როგორც კონტრ-რევოლუციონერები.

—

რომანოვის ოჯახი ტობოლსკიდან კრონშტადტს გადაჰყავთ.

—

სახალხო კომისრების საბჭომ გადასწყვიტა, დამფუძნებელი კრება გაიხსნას მაშინ, როდესაც პეტროგრადში 400 წევრი გამოცხადდება.

—

პეტროგრადის სარაიონო საბჭოები მოუწოდებდნენ მცხოვრებლებს: დამფუძნებელ კრების გახსნისას მანიფესტაციით თავრიდის სასახლეში მიდით პირველ სხდომაზე ყველა სოციალისტი მინისტრები აპირებენ გამოცხადებას.

—

პეტროგრადში ჩინიზელის ცირკში წერეთელს გამარჯვება ხვდა. იგი დამფუძნებელ კრებას იცავდა.

—

როსტოვში ბოლშევიკებმა პოტოცკი შეიპყრეს.

გრაფინია პანინს 192 ათას მანეთის გირაოთ დაჰპირდა ..... დატუსაღებულნი ... ტყვეებსა ..., კოშკინი და შინგარევი.

—

„დელო ნაროდა"-ში დაბეჭდილია კერენსკის მოწოდება, ლაშქრისა და მუშაოფრების მიმართ.

„გამოფხიზლდით, ნუთუ ვერ ჰხედავთ, რომ უპირცხვილოდ მოგატყუესთ? სამ დღის განმავლობაში აღგითქვეს ზავი გერმანეთთან მაგრამ—ამის ნაცვლად თქვენ კაცის მკვლელებად და „ოპრიჩნიკებად" გარდაქმნეს. ნიკოლოზ მეორესაც აქამდე შეუძლიან ასწიოს თავი. მის დროსაც კი არ ხდებოდა ასეთი საშინელება. მილიუტას სკუტაროვის „ოპრიჩნიკებმა" გადააჭარბეს. თქვენ პური აღგითქვეს, მაგრამ კარგა ხედავს თქვენი თვალები, რა სიმშილ გამეფდა. თქვენი შვილები მალე შეიგნებენ, თუ ვინ მღუპავს მათ. თქვენ აღგითქვეს თავისუფლება, მერე სად არის ეს აღთქმული თავისუფლება? უტვინო მოღალატეთა რაზმი ჰკლავს თავისუფლებას, ჰღუპავს ჩვენს სამშობლოს. გამოფხიზლდით, ვისაც კი სინდისი შეგრჩენიათ, ვისაც კი კაცის ნიშან-წყალი გეტყობათ. იყავით მოქალაქენი ნუ ჰღუპავთ თქვენისავე ხელებით სამშობლოსა და რევოლუციას, რომლისათვისაც 8 თვე იბრძოდით. დაჰგმეთ უტვინო მოღალატენი, დაუბრუნდით სამშობლოსა და რევოლუციის სამსახურს.

ამას გეუბნებით კერენსკი, რომელსაც თქვენმა „რაინდებმა" კონტრრევოლუციონერი, კორნილოვის მომხრე მიწოდეს, მე რომელიც 8 თვის განმავლობაში რევოლუციურ დემოკრატიის ნებით ვიცავდი ხალხის თავისუფლებას და მშრომელ მასის მომავალ ბედნიერებისათვის ვიბრძოდი. მე რჩეულებთან ერთად თქვენ დამფუძნებელ კრებამდის მიგვიყვანეთ და, ეხლა კი როდესაც ლენინმა და ტროცკიმ დიქტატურა გამოაცხადეს—ბრმებისათვისაც კი ნათელი შეიქმნა, რომ მაშინ, როდესაც მთავრობა ჩემს ხელთ იყო ნამდვილი თავისუფლება მეფობდა, ხოლო ეხლა კი თუ არ გამოფხიზლდებით, ჩვენი სახელმწიფო მთლად დაიღუპება. გამოფხიზლდით!

სახალხო კომისრების დადგენილებით დახურეს ის გაზეთები, რომლებიც გიორგობისთვის 23-ს ფასიან განცხადებებით გამოვიდნენ.

—

მოსკოვის მეკიხოვენი. არ ემორჩილებიან უფროსის ბრძანებას, რადგან უფროსად უბრალო ჯარის კაცი დაუყენებიათ ....

—

მოსკოვის დეპუტატთა საბჭოში მიღებულია ცნობა, რომელშიც გამოქვეყნებულია, რომ შესდგა ძლიერი რაზმი სამხრეთისკენ გასაგზავნად.

—

ნიკოპოლის სარევოლუციო კომიტეტის დადგენილებით ვაჭრებს გიორგობისთვის 20-სათვის 200,000 მანეთი უნდა შეეტანათ კომიტეტში.

## ეროვნული კითხვა.

### ბესარაბიის კითხვა.

კიშინევში გაიხსნა ადგილობრივი საბჭო „სფატულ ცერი". იგი შესდგებოდა 150 დეპუტატისგან. მათ შორის არიან ბესარაბიის ყველა ეროვნების სოციალისტური პარტიების და თვითმართველობის წარმომადგენლები.

თავმჯდომარემ ინკულეტმა განაცხადა, რომ საბჭოს მიზანია, გადაარჩინოს ბესარაბია ანარქიას, მოაწყოს სურსათის საქმე, განახორციელოს რევოლუციის მიზანი, დაიკმაყოფილოს ეროვნებათა უმცირესობა.

ყველა გამოსვლათა ლეიტმოტივია: ბესარაბია როგორც ავტონომიური ოლქი შედის რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკაში.

### თავისუფალი ინდოეთი

„ფრანკ-ფურტერ ცაიტუნგ"-ის კოპენჰაგელი კორესპონდენტის ცნობით ნოემბრის 8—21-ს მასთან მისული ევროპაში საიდუმლოდ წამოსული მეტად ცნობილი მოწინავე მებრძოლი ინდოეთის თავისუფლებისთვის პროფესორი ჯაზერი. „სოციალ დემოკრატები" აქვეყნებს მასთან საუბარს. პროფესორის აზრით ზავის შეკვრის დროს ევროპამ ყურადღება უნდა მიაქციოს ინდოეთს. თუ მართალია, რომ ინგლისი დაჩაგრულ ერებისათვის იბრძვის, მაშინ ინდოეთმა სამშვიდობო კონფერენციაზე თავის დამოუკიდებლობა უნდა მიიღოს. წინად თუ ინდოეთის მცხოვრებთა შორის შუღლი და უთანხმოება იყო, ახლა ყველა გაერთიანდნენ და ოპოზიციაში უდგანან ინგლისს.

ინდოეთი უნდა გადაიქცეს შტატების კავშირად, რომელშიაც შევლენ ძველი

მონარქიები და რესპუბლიკები. ინგლისისათვის ეს ომი გადასწყვეტს მის ინდოეთზე ბატონობის საკითხს.

### ფინეთის დამოუკიდებლობა

**ჰელსინგფორსი.** ნოემბრის 28. სენატმა შეიმუშავა დეკლარაცია, რომელიც მიმართავს გარეშე სახელმწიფოებს ფინეთის დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად. ხუთშაბათს სეიმმა მიიღო (102 ხმა 88-ის წინააღმდეგ) ბურჟუაზიულ ფრაქციების მიერ წამოყენებული დეკლარაცია. ფინეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებას სეიმი აღტაცებით შეეგება.

### ველიკოროსსების თვითგამორკვევა

**სევასტოპოლი.** ნოემბრის 22. დიდის დღესასწაულით გაიხსნა „ველიკოროსსების ვეჩა". დაესწრო 110 დელეგატი. აღმასრულებელ ორგანოდ „ვეჩა"-მ თავის შორის მამასახლისთა საბჭო გამოჰყო. საბჭოში 30 კაცია.

### უკრაინის ჯარის გაწვევა

**კიევი.** ნოემბრის 22. სამხედრო საქმეთა მთავარ მდივანმა პეტლიურამ პირდაპირის მავთულით სთხოვა კალედინს ლონდონიდან უკრაინელი ჯარი გამოგზავნეო. კალედინი დასთანხმდა.

— —

თბილისში მიღებულ ცნობების მიხედვით: შესდგა მთავრობა თერგის ოლქისა და დაღესტნის. არჩეულია 12 კომისარი, რომელთა შორის 12 მთიელია, 3 ყაზახი და 3 კაცი პარტიათა ორგანიზაციების მხრივ. დამთავრადა ინციდენტი ჩეჩნებისა და გროზნოს შორის: გარნიზონი გადაყვანილ იქმნა გიორგიევსკში.

## უკანასკნელი დეპეშები.

ბალტიის მეზღვაურების საბჭომ მოითხოვა ნიკოლოზ მეორე ოჯახობით გადაეცეს კრონშტადტის რევოლიუციონურ კომიტეტის განკარგულებაში, ჩვენ გვრწამსო—დასძენს მეზღვაურების საბჭო—რომ იქ მას შესაფერ ადგილს მოუძებნიან.

— —

კორნილოვს უთქვამს: რიგა ჩემი ბრძანებით დასტოვეს ჯარებმაო. მე ჯარის გაწყვეტას, ადგილის დათმობა ვარჩიეო. გენერალ კორნილოვს აზრათ ქონია—რიგის დაკარგვა იმ განწყობილებას გამოიწვევს სახელმწიფოში, რომ მოითხოვენ წესრიგის აღდგენასო.

— —

გერმანელების მართველებმა აცნობეს ტროცკის, გენერალ შერბაჩევის მიერ რუმინეთის ფრონტზე ჩამოგდებულ წინასწარ ზავზე. ამასთანავე სთხოვენ, რომ დროებითი ზავის პირობები ყველასაგან იყვეს მიღებული და გამოაშკარავებული, რადგან ფაქტიურათ ასეთ ზავს რუმინეთის ფრონტზე ჯერ ადგილი არ აქვს.

## დამფუძნებელ კრებაზე

### უკვე არჩეული დეპუტატები:

**კადეტები:** პ. მილიუკოვი, მ. კინავერი, ნ. კუტლერი, თ. როდიჩევი, ი. პეტრუნკევიჩი, თ. კოკოშკინი, ვ. მაკლაკოვი, ნ. ასტროვის, პ. ნოვგოროდცევი, ნ. კიშკინი, პ. დოლგორუკოვი, ოგოროდნიკოვი —სულ 12-ია ჯერ.

**ესერები:** ა. კერენსკი, კ. ლავროვი, ს. ნიკონოვი, ი. ფონდამინსკი,—(იგივე ბუნაკოვი), ვ. ბაკუტა, ი. პოპოვი, ნ. ალიასოვი. ვ. ჩერნოვი, ბ. კაც-კომკოვი, ვ. პავლოვი, ვ. ბიკოვი, ვ. ორეშინ-კაჩინსკი, ნ. გვოზდიკოვსკი, დ. როზენბლუგფირსოვი, ს. პოპოვი, ნ. ილინი, ნ. ბობიკინი, ა. ოდინცოვი, ვ. კისელევი, მ. ველსკი, ა. ჩერნოვ-სლეტოვისა, ფ. ჩერნიშევი, ი. რიაბოვი, გ. კონდრატიევი, ფ. ნემტინოვი, ე. მერკულოვი, შიშკო, პროშიანი, მასლოვი, დ. იონი, ვ. პავლოვი, ბ. ბიკოვი, კონდრატიევი, ლოტოშნიკოვი, სულ ჯერ 34.

**ბოლშევიკები:** ვ. ულიანოვ-ლენინი, ე. რადომისლსკი-ზინოვიევი, ლ. ბრონშტეინ-ტროცკი, ა. კოლონტაი, ა. როზენფელდ-კამენევი, კ. ჯუღაშვილი-სტალინი, დ. გოლდენდახ-რიაზანოვი, ვ. ნოგინი, ნ. მეშჩერიაკოვი, ა. სმირნოვი ტ. საპრონოვი, ა. სკვორცოვი ნ. ბუხარინი, ე. იგნატოვი, მ. გუბელმან-იაროსლავსკი, ფ. სერგეევი, ა. შლინტერი, დიბენკო, დანილოვი, ლარიანი-სულ 19 ჯერ.

**მენშევიკები:** ნ. სტრელკოვი-სალერი ჯერ.

**მუსულმანები:** სეით-ჯაფერ-სეიდამეტი-სულ ერთი ჯერ.

**ებრ. ნაციონ. ბლოკი:** ო. გრუზენბერგი-სულ ერთი ჯერ.

**უკრაინელი ესერები:** ს. ბაჩინსკი, ა. რადომისლსკი, ე. კორნენკო, ფ. სტორუბელი, ი. მალიუკი, პ. სურგაი, ვ. სტრომენკო, ა. როსინი, კ. კორჟი—სულ 9 ჯერ

**უკრაინელ სოციალ-დემოკრატები**— ი. ტომან ჩვენი-სულ ერთიჯერ.

**მეორე ცნობების** მიხედვით ასეთია შედეგი:

— 32-ესერი, უკრაინელი ესერები, 11 კადეტი, თითო თითო მიიღეს: მენშევიკებმა, უკრაინელ ესდეკებმა მუსულმანებმა, ებრაელმა ბლოკმადა მეშის მესაკუთრეებმა.

**მესამეცნობის მიხედვით:** ბოლშევიკები: 26—28, ესერები: 35—36, კადეტები 12 13, ებრაელი ბლოკთა. ჲ. დანარჩენი, ეთანხმება ზემოთ მოყვანილ ცნობებს.

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

**მასწავლებელთა მდგომარეობის შესახებ,** კვირას, 3 დეკემბერს ქუთაისის საგუბერნიო აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიწვია შეერთებული კრება სახალხო მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობისა, ფილიალური განყოფილებების წარმომადგენლებისა, ქალაქის გამგეობის ერთი წევრისა და სასკოლო კომისიისა,—სახალხო მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. გამოიკვა, რომ ბოლშევიკური მთავრობა არაფერს არ გვიგზავნის, რადგანაც ჩვენ იმათ ნდობას არ გამოუცხადეთ, რაც მასწავლებელთ მეტად ცუდ პირობებში აყენებს. აღმასრულებელმა კომიტეტმა წარმოადგინა წინადადება, რომ ამ ჟამათ ფული ხალხში ტრიალებს და მასწავლებლების დასაკმაყოფილებლათ მათ ხარჯი გავაწეროთო. მასწავლებლები ამის წინააღმდეგ წავიდენ და გამოიტანეს ასეთი დადგენილება: დარჩეს მასწავლებლების მდგომარეობა იმ პირობებში რამდენიმე კვირით, როგორც ეხლა იმყოფება ე. ი. ერობის შემოღებამდის და, თუ ერობამ არ იღვა თავს მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესობა, იმ შემთხვევაში ხარჯები თვით ხალხს გააწერონ.

**ვაგონების შესახებ.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა მიმართა რკინის გზის მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტს, რომ სასურსათო კომიტეტში გამოგზავნონ რკინის გზის ერთი მოხელე, რომელსაც კარგათ უნდა ესმოდეს ვაგონების განაწილებისა და სანოვაგის გადაზიდვა—გადმოზიდვის წესები, ასეთ პირს სასურსათო კომიტეტი ჯამაგირს თავის მხრით მისცემს. საგუბერნიო სისუსათო სამმართველო.

**ქ. შ. წერა კითხვის გამავრც. საზოგადოებაში.** კვირას, 3 დეკემბერს, ქ. შ. წერ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრთა კრება არ შესდგა. ამ კრებაზე უნდა აერჩიათ 8 რწმუნებული მთავარი განყოფილების საზოგადო კრებაზე დასასწრებლათ.

**ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო** კომიტეტმა კავკასიის საოლქო სამმართველოდან მიიღო დეპეში შემდეგი შინარსისა: რადგანაც თერგის ოლქში სხვა და სხვა ეროვნებათა შორის შეტაკება მოხდა, რამაც გამოიწვია ვლადიკავკაზის რკინის გზის ზოგიერთი რაიონების ხელთ ჩაგდება. ამით სურსათის შემოზიდვა, შესწყდა რასაც ითვალისწინებს საოლქო სასურსათ სამმართველო და საჭიროთ სთვლის ყოველივე სანოვაგეზე შემცირებულ იქმნას ნორმა და ანგარიში გაეწიოს ადგილობრივ სურსათ სანოვაგეს. პურის ნორმა დაყვანილ უნდა იქმნას ნახევარ გირვანქამდე, პურის ფქვილში უნდა შეურიონ ერთი მესამედი ქერისა ან სიმინდის ფქვილი. ყველა ქალაქებში უნდა შემოღებულ იქმნას ბარათების სისტემა, დროებით სურსათის საკითხის მოგვარება ადგილობრივ უნდა მოხდეს და მცხოვრებთ უნდა განეაარტოს, რომ ეს მდგომარეობა დროებითია და საოლქო სასურსათო კომიტეტს ყოველივე ზომები მიღებული აქვს, რომ საქმე გამოგვარდეს.

**შეშა.** გუშინ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა მიიღო 5 ვაგონი შეშა. შეშის განაწილების დროს დიდი შეხლა-შემოხლა მოხდა.

**მომღერალ მოწაფე ქალ-ვაჟთა ყრილობა.** 6 დეკემბერს სოც.-დემოკრატების კლუბში დანიშნულია მომღერალ მოწაფე ქალ-ვაჟთა ყრილობა. თანახმად სამოსწავლო კომისარიატის დადგენილებისა უნდა შესდგეს მოწაფეთა მუდმივი გუნდი, რომელიც შეუერთდება სრულიად საქართველოს ეროვნულ ხოროს, მოკლე მოხსენების შემდეგ გაიმართება ქართული ახალი ჰიმნის და სარევოლიუციო სიმღერების რეპეტიცია. რეპეტიციაზე დასწრება და მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას (არა მოწაფესაც), ვისაც ხმა აქვს და რომელიმე ხოროში უკვე უმღერია. ყრილობა ინტერპარტიულია.

**სათესლე სიმინდი.** სრულიად კავკასიის საოლქო სასურსათო კომიტეტი სთხოვს ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს ნება მისცეს ბათომის სასურსათო კომიტეტს შეიძინოს ქუთაისის გუბერნიაში 15 ათასი ფუთი სათესლე სიმინდი ბათომის ოლქისათვის.

**სიმინდის ფქვილი** გუშინ ქუთაისის ბაზარზე 25 მანეთამდის იყიდებოდა.

**ტუსაღების გადმოყვანა.** ქუთაისის დარბევის დროს დაპატიმრებული 13 კაცი, რომელნიც ხელმძღვანელობას უწევდენ რბევას და გაგზავნილ იქმნენ მეტეხის ციხეში მოსათავსებლათ. ამიერ-კავკასიის ციხეთა ინსპექტორის აუშტროვის განკარგულებით უკანვე იქმნენ დაბრუნებულნი, რომელნიც ქუთაისის ციხეში მოათავსეს.

**ჯარის-კაცთა საბჭოში.** ქუთაისის გარნიზონის ჯარის კაცთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ეთხოვოს გუბერნის კომისარს, რათა ოქმები, რომელნიც შეყენებულ იქმნება ღვინის გაყიდვის შესახებ, გადაცემულ იქმნას სასამართლოში, რათა დამნაშავე პასუხის გებაში მისცეს და უფრო დიდი დანაშაულისათვის შედგენილი ოქმები კი გაეგზავნოს კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსს. რათა დამნაშავე გადასახლონ კავკასიის სამზღვრებიდან.

**ა. ი. ჯაფარიძემ,** რომელიც თავმჯდომარე არის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისა ხსენებული კომიტეტის სხდომაზე განაცხადება შეიტანა, რომ იგი თანამდებობას თავს ანებებს, მაგრამ სხდომის თხოვნით იგი თავის თანამდებობაზე დასტოვეს.

**უპატრონო ბავშები.** ოზურგეთის მაზრის კომისარი, ქუთაისის გუბერნიის კომისარს გიორგაძეს ატყობინებს, რომ გურიაში იმყოფება ასამდე უკანონოთ შობილი ბავში რომელთაც ძიძები ზრდიან ჯერ ორი წელი გადის, და აღმზრდელებს შრომის ფასი არ მიუღიათ, მდგომარეობა კიდევ თუ ასე გაგრძელდა ბავშების აღზრდაზე ხელს აიღებენო.

**კრებაზე პრესის წარმომადგენლების მოწვევა** ქალაქის სასურსათო კომიტეტმა უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, რომ შემდეგში ყოველი კრებებისათვის მოიწვიონ უწყებებით პრესის წარმომადგენლები, რათა სასურსათო კომიტეტების მოქმედება ყოველთის პრესის საშვალებით საზოგადოებას გააცნონ.

### პროვინცია

**ქ. ზუგდიდი.** 25 ნოემბერს იოსებ კილასონიას მოჰპარეს ცხენი, რომელიც ღირდა 500 მანეთათ.

— 22 ნოემბერს აქვე ბოროტ გამზრახველებმა ს. დგებუაძის სახლში სტუმრებს მოპარეს რევოლვერები და ტანსაცმელი.

-- **ქ. ზუგდიდი.** ზუგდიდის მაზრაში მცხოვრებთ სურვილი აქვთ სიმინდი გაჰყიდონ, მაგრამ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის მიერ დაწესებულ ფასებში გაყიდვის შესახებ უარს აცხადებენ.

— **ს. სეფიეთი.** 20 ნოემბერს 3 შეიარაღებული ბოროტ გამზრახველი თავს დაესხა სოლომონ რუხაიას, რომელსაც წაართვეს ფული და ოჯახის ავეჯეულობა. ადმინისტრაციამ ამის გამო დააპატიმრა გრიგოლ და კონსტანტინე გაჩილეიშვილები და ამბაკო ხახეიშვილი.

— **ოკრიბა.** აქ უკვე ჩამოთოვა. ხალხი ზამთარს მოუმზადებელი შეხვდა, განსაკუთრებით საზოგადოება შეუმოსავია.

## სროლა თბილისის სადგურზე.

დეკემბრის 1-ლს, საღამოს 6 საათზე ბაქოს საფოსტო მატარებლის მოსვლის შემდეგ სადგურის ბაქანზე სროლა ასტყდა. საქმის გარემოება ასეთი იყო: რადგანაც სადგური „თბილისი" ერთობ დატვირთულია რაც მატარებლების მოძრაობას აფერხებს, მუშათა და ჯარის კაცთა დეპ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით სადგურზე მყოფი 2 ვაგონი იარაღი და ტყვია-წამალი ავჭალას უნდა გადაეზიდნათ. ეს გაეგოთ მე-218 პოლკის ჯარის კაცებს და ვაგონებს გარს შემოერტყნენ იარაღის დასატაცებლად. დეპუტატთ აღმასრულებელმა კომიტეტმა იარაღის დასაცველად მოიწვია ქართული პოლკის ჯარის კაცები. მოვიდნენ თუ არა უკანასკნელნი მე-218 პ-ლკის ჯარის კაცთა ჯგუფიდან ერთმა დაიძახა: „აგერ ქართველებს თავისთვის მოაქვთ იარაღიო". ამის შემდეგ ჯარის კაცები ქართველ პოლკის ჯარის კაცებისაკენ გაექანნენ. უკანასკნელთა რამდენჯერმე ჰაერში გაისროლეს, რუსი ჯარის კაცები ნელ ნელა დაიშალნენ.

## ქართველი მხედროების ყრილობა.

### ტერორზე ტერორით პასუხი.

ამ დღეებში ჩრდილო-ფრონტის ქართველი მხედრობის ყრილობამ, რომელმაც მუშაობა იქონია პეტროგრადში მოკლულ ღენერალ თუმანიშვილის შესახებ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: ქართველი მხედრობა მოვალეთ სთვლის თავის თავს საჯაროთ გამოაცხადოს, რომ დღეიდან ყოველ ქართველს საზოგადო მოღვაწის სიცოცხლის მოსპობა, რომელი მიმართულებისაც არ უნდა იყოს იგი გამოიწვევს მათ მხრით პირდაპირო დამნაშავის გარდა—3 ლიდერის და 7 მორიგი პარტიის მუშის სიკვდილით დასჯას იმ მიმართულებისა, რომლის გამოსვლის დროსაც მოკლული იქნება ქართველი საზოგადო მოღვაწე. ეს დადგენილება მიღებულ იქმნა ერთხმად. ყველა დამსწრემ დასდო ფიცი, რომ დადგენილების განხორციელება თვითეულმა თავს იდვა.

### საქართველოს დაცვა.

მიმდინარე მომენტზე ყრილობამ ერთხმათ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: ქართველი მეომრები, რომლებიც სისხლს ღვრიან რუსეთის თავისუფალ დემოკრატიის იდიალებისთვის, მზათ არიან აწიც შესწირონ სიცოცხლე რევოლიუციის მიერ მოპოებულ თავისუფლებას, რომელმაც უნდა აღადგინოს ფეხით გათელილი საქართველოს უფლებები. ისინი მოთმინებით შეჰყურებენ ქართველი ხალხის ბედიღბლის გადაჭრას.

მაგრამ, თუ განხეთქილებამ, რომელმაც ფეხი მოიდგა რუსეთის დემოკრატიაში, მიიყვანა მთელი იდიალების დაღუპვამდის, ქართველი მხედრობა, როგორც ერთგული შვილი სამშობლოსი, არ დაჰყრის იარაღს და განაგრძობს მოპოებულ ხალხის უფლებების შესანარჩუნებლად იბრძოლებს, თუნდაც რომ ამისათვის საჭირო შეიქნეს დავკმაყოფილდეთ რევოლიუციის გამარჯვებით, არა მთელ რუსეთში, არამედ მარტო ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოში.

## „მიირთვით და არ აილოთო"

ძალა-უფლების ხელში ჩაგდებამდის, რუსეთში, ყველა პარტიის მიმდევრები, საუკუნოებით დაჩაგრულ დაწვალებულ წვრილ ერებს, ცხონებას, ამ ქვეყნიურ სასუფეველს პირდებიან. ნიკოლოზი თქვენ გაწვალებდათ, თავისუფლებას გისპობდათო' ჩვენ კი, თუ გინდათ, არამც თუ სხვადასხვა გვარ პრივილიგიებს მოგცემთ, სრულ ჩამოშორების უფლებასაც მოგანიჭებთო. ამ გვარ დაპირებებში ყველა პარტიებს „ბოლშევიკებმა" გადააჭარბეს. ვინც მათ პროგრამებს იცნობს იმას უეჭველად ეცოდინება, თუ რას პირდებოდნენ „ბოლშევიკები" რუსეთის წვრილ ერებს. ჩვენც, ქართველები, ასეთ მათ განცხადებას დიდ ყურადღებას ვაქცევდით, და ვფიქრობდით მართლა ნამდვილი ქვეყნის მხსნელი და წვრილი ერების სულის ჩამდგმელი „ბოლშევიკები" არიანო. ერთი თვეც არ არის, რაც „ბოლშევიკებმა" რუსეთის საჭე, მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდეს და ამ მცირე ხნის განმავლობაში მათ თავის „ფიზიანომია" უკვე ნათლად დაგვანახვეს. მცირე ერების ბედი და იღბალი იმდენად აინტერესებთ მათ რამდენათაც ეს აინტერესებდა კერენსკის და მის მთავრობას. არა ერთხელ უჩვენებია „ამხანაგ" კერენსკის ფინლიანდია და უკრაინასათვის თავის რკინის მუშტი და ფიზიკურ ძალაზე მიუთითებია ხოლმე, თუ ჭკვიანად არ იქნებოდენ ეს მკვირცხლი და თავისუფლების მოყვარული ხალხი. ეხლა ფილიპე მახარაძე გამომდგარა და ამგვარივე მუშტით ემუქრება იმ ხალხს, რომელმაც ეს ქართველი „ბოლშევიკების" წარმოშვა. ჩვენ ვფიქრობდით ქართველი ბოლშევიკები საქართველოს კანონიერ მოთხოვნილებას და საუკუნოებით დაჩაგრულ [illegible] ნატვრა-სურვილს მხარს [illegible] გამოექომაგებოდნენ და [illegible] თავზე დაადგამდენ, მაგრამ მათ, ნაცვლად ამისა, საქართველოს ეროვნულ ყრილობა [illegible] შემოღების დ პირობამ კარგათ უნდა იცოდნენ [illegible] ძ ხლმა, რომ წვრილ ერებს რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე ეკვლებით; იგი ვერ მოესწრო ამ კრებას. ასევე არ ურგებს „ბოლშევიკებს" ფრონტის შეცვლა, წვრილი ერების აბუჩად აგდება და კერენსკის მუშტის განმეორება. წვრილ ერებს უნდათ საკუთარი თავის ძალღონით სიცოცხლე, რასაკვირველია, რუსეთის საერთო სიცოცხლესთან კავშირის განუწყვეტლად და, ვინც ამას ეწინა-აღმდეგება, ის ხალხის მეგობარი, ძმა და ამხანაგი არ არის. ეს კარგათ უნდა იცოდონ საერთოთ ყველამ, კერძოთ ქართველმა „ბოლშევიკებმა" თუ უნდათ რომ გამარჯვება მათ დარჩეთ.

მ. ბუაჩიძე.

## გაზეთებზე

### ხელის მომწერლების საყურადღებოთ—ქუთაისში.

დღევანდელ ცხოვრების საერთო გართულებულ პირობებში ბეჭვდითი სიტყვის, პრესის ტეხნიკურ წარმოების საქმეც მეტათ გაძნელდა. სხვა სარედაქციო სიძნელეზე, რომ აღარა ვთქვათ რა; გაზეთების ხელის მოწერით გავრცელება, როგორც ფოსტით, ისე დამტარებლების საშვალებით ბინებზე დარიგება, მეტათ არა ნორმალურ პირობებშია.

ფოსტით გამოწერილი გაზეთები სანახევროთ პატრონებს არ მისდით, ან, თუ მისდით, თითო კვირაობით დაგვიანებული. ამგვარ ხელის მომწერლების საჩივარი აუარებელია. იქ რომ ამათ საჩივარს ყურადღებას აღარავინ აპყრობს, ჩემ კანტორაში მიამბობენ ხოლმე, ესა და ეს გამოწერილი გაზეთი, ჟურნალი არ მომდის და როგორ მოვიქცე, ვის მივმართო, როგორ მივიღოვო. აი ამგვარ საკითხებით გვაცდენენ კანტორაში არა თუ კანტორისაგან გამოწერილ გაზეთების გამო, მათ მიერ გამონაწერზედაც.

დღემდი დამტარებლების საშვალებით ბინებზე გაზეთების დატარების საქმე გვარიანათ მქონდა მოწყობილი. თფილისის გაზეთები იმავე დღეს ურიგდებოდა (რასაკვირველია თუ მივიღებდი) ხელის მომწერლებს. დღეს კი კეთილ-სინდისიერი დამტარებლის შოვნა მეტათ გაძნელდა იმ მცირე სასყიდლით, რასაც ამ საქმისათვის თავის ხელმოკლეობით რედაქციები იძლევიან, შეუძლებელი გახდა. საყვედურები კი ამ საქმის უცოდინარ ხელის მომწერლებისაგან მაინც კიდევ გაისმის.

ამისათვის დღეიდან ქალაქის ერთ ნაწილში—მესხეთის ქუჩისკენ, თფილისის, კაზაკოვის და ღენერლის ქუჩებზე, გაზეთების ბინებზე დატარებას ვსპობ. ხოლო ვისაც ამ წლის ბოლომდი აქვს გამოწერილი რომელიმე გაზეთი,—მას შეუძლია იგი მიიღოს კანტორაში.

ამასთან ერთათ იძულებული ვარ ხელმეორეთ აღვნიშნო ის უხერხული მდგომარეობა, რომელშიაც ჩემი კანტორაც და რედაქციებიც ჩააყენა წლიურმა, თუ თვიურმა ბევრმა ხელის მომწერელმა; ხვედრი ფულის არა თუ თავის დროზე, სულაც შემოუტანლობის გამო. პასუხისმგებლობას კი რედაქციები და კონტრაგენტები ჩემგან მოითხოვენ. ზოგიერთებს აგერ წელიწადი იწურება და სრულიად არაფერი აქვთ შემოტანილი და, მიუხედავათ ჩვენი ამდენი ხნის ნდობისა, რომელიმე დღეს გაზეთი რომ დააკლდეს პრეტენზიებს გაბედულათ გვიცხადებენ...

ორ ზემორე მოკლეთ, ჯერ ფაქტების დაუსახელებლათ აღნიშნულ გარემოების გამო, კანტორამ დღემდი საგრძნობი ზარალი ნახა ბინებზე გაზეთების დატარებით; ამიტომ მომავალში ამას თავს ანებებს და იანვრიდან განზრახული აქვს წინდაწინ ფულის გადამხდელებს კანტორიდან ურიგოს გაზეთები. ხოლო ამის გეგმას კანტორა თავის დროზე აცნობს მკითხველებს გაზეთებით.

ვთხოვ ეს წერილი გადაბეჭდოს ქუთაისში „სოც.-დემოკრატმა" და თფილისში „ერთობა" და „საქართველო"-მ.

კანტორა „იმერეთის"-ს გამგე

ის. კვიცარიძე.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია.

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში

ეროვნული ბიბლიოთეკა